



ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის

ბრძანება N 35

15/08/2017

35-10-4-201708151650



დაბა ხულო

ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის მოწვევის შესახებ

ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 21 ივლისის N5 დადგენილების მე-17 მუხლის მე-2 პუნქტის "გ" ქვეპუნქტის, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, ამავე კოდექსის 26-ე მუხლის მე-2 პუნქტის "ა" ქვეპუნქტის საფუძველზე

ებრძანებ:

1. მოწვეულ იქნას ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა 2017 წლის 17 აგვისტოს დღის 12 საათზე თანდართული დღის წესრიგით (ცნობა ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 17 აგვისტოს რიგგარეშე სხდომის მოწვევის თაობაზე)
2. საკრებულოს აპარატმა უზრუნველყოს საკრებულოს რიგგარეშე სხდომის მოწვევის შესახებ ინფორმაციის (ცნობა) ხულოს მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე www.khulo.ge გამოქვეყნება.
3. საკრებულოს რიგგარეშე სხდომის მოწვევის შესახებ ეცნობოს საკრებულოს წევრებს.
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ჯამბულ ხოზრევანიძე



საკრებულოს თავმჯდომარე

ხელმძღვანელობა